

Irina Natsvlshvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Adapted Classics and Comics/Graphic Novels as Learning Resources and a New Trend of Literature Commercialization in Georgia

**ადაპტირებული კლასიკა და კომიქსი/გრაფიკული რომანი, როგორც სასწავლო რესურსი
და ლიტერატურის კომერციალიზაციის ახალი ტენდენცია საქართველოში**

Social processes accompanying the post-industrial era significantly expanded the scale of commercialization of intellectual products, paving the way for new trends such as adaptations of classic fictional texts and comics/graphic novels. Their share in the global consumer market is actively growing, however, the attitude towards them in the academic communities still remains controversial. The fast pace of life in today's information and technology-driven society does not seem to leave any room for lengthy fictional narratives. Nevertheless, despite their pragmatic appeal to some degree, it's crucial to carefully assess the scope of usage and the purpose of adapted texts or comics.

საკვანძო სიტყვები: ადაპტირება, კომიქსი, რესურსი, განათლება

Keywords: adaptation, comics, resource, education

პოსტინდუსტრიულმა ეპოქამ და თანმდევემა სოციალურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ინტელექტუალური პროდუქციის, მათ შორის ლიტერატურის, კომერციალიზაციის მასშტაბი და ამ მიმართულებით გზა გაუხსნა პოპულტურის თვისებრივ ბუნებაზე ორიენტირებულ ახალ ტენდენციებს. მათში მოიაზრება კლასიკური მხატვრული ტექსტების ადაპტირება და კომიქსი/გრაფიკული რომანიც, რომლებსაც საკმაოდ ვრცელი ისტორია აქვთ როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებში, თუმცა აკადემიურ წრეებში მათ მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო ადრეც და წინააღმდეგობრივია ახლაც.

მხატვრული ლიტერატურის ადაპტირებული ვერსიების, განსაკუთრებით კი მისი ერთ-ერთი ნაირსახეობის, „საგანმანათლებლო“ კომიქსების, შესახებ დებატები ამერიკაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-50-იან წლებში დაიწყო და მოიცვა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ამგვარი ტექსტების შესაბამისობა ორიგინალის ძირითად არსსა და განწყობასთან, მათი გავლენა მოზარდი თაობის განვითარებაზე და სხვ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა 1954 წელს მიიღო ე.წ. „კომიქსების კოდექსი“ („Comics Code“), რომელიც ქვეყანაში ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პირველ ხანამდე, კერძოდ, 2011 წლამდე მოქმედებდა, როგორც ერთგვარი ცენზურა, რომელიც კომიქსებისთვის გარკვეულ ჩარჩოებს აწესებდა.

ზოგადად, „ადაპტირებული ლიტერატურის“ ცნება, როგორც ტექსტის „გამარტივებული“, „შემსუბუქებული“ ვარიანტის აღმნიშვნელი, თანამედროვე სამყაროშიც უარყოფით კონოტაციას

ატარებს, თუმცა ამასთან მიმართებით მეთოდურ ლიტერატურაში არსებობს ორი რადიკალურად განსხვავებული თვალსაზრისი იმის გათვალისწინებით, თუ რა არის ტექსტის შესწავლის, მასზე მუშაობის ან, უბრალოდ, კითხვის მიზანი. მხატვრული ტექსტის, როგორც მრავალმნიშვნელობიანი კულტურულ-ისტორიული არტეფაქტის, ანალიზი კომპლექსურ ფილოლოგიურ, ლიტერატურათმცოდნეობით, სტილისტიკურ, ლექსიკოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, სოციოლოგიურ და სხვა დარგობრივ, ანუ ინტერდისციპლინურ მიდგომებს მოითხოვს; შესაბამისად, ლიტერატუროცენტრული თვალსაზრისისა და მეთოდოლოგიის მიმდევარნი ექვეყნე აყენებენ მხატვრული ტექსტების ადაპტირების მიზანშეწონილობას, ვინაიდან ასეთი ზემოქმედება აღარიბებს მათ შინაარსს, სრულიად შლის ავტორისეულ სტილს, ორიგინალობას და უკეთეს შემთხვევაში მინიმუმამდე დაჰყავს ლიტერატურული ძეგლის ესთეტიკური და კომუნიკაციური ღირებულება.

მეორე მხრივ, არაადაპტირებული მხატვრული ლიტერატურის გააზრება სწავლა-სწავლებისა და ასაკობრივი განვითარების სხვადასხვა – ზოგადსაგანმანათლებლო თუ საუნივერსიტეტო – საფეხურზე თანამედროვე მოზარდებისა და ახალგაზრდობისთვის, ენობრივ-ლექსიკური კომპეტენციიდან გამომდინარე, რთულად დასაძლევ პრობლემად იქცევა ხოლმე, რის გამოც ზოგიერთი პედაგოგი, განათლების სპეციალისტი თუ ინტელექტუალიც კი ლიტერატურისადმი უფრო პრაგმატულ მიდგომებს იზიარებს. მაგალითად, იან შენკმანისთვის მიცემულ ინტერვიუში მწერალი ბორის აკუნინი (გრიგოლ ჩხარტიშვილი) აღნიშნავს: „*დაე, კლასიკა უკეთ აღიქმებოდეს განზავებული სახით, ვიდრე საერთოდ არანაირად*“ (Акунин, 2006, გვ. 16).

რეალურად, პრაქტიკა უჩვენებს, რომ მხატვრული ლიტერატურის ესთეტიკური ღირებულება თანამედროვე ახალგაზრდობისთვის დიდწილად შეუმჩნეველი რჩება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ლიტერატურის პროფესორის, ჰანს-ულრიხ გუმბრეხტის, მოგონება სტენფორდის უნივერსიტეტის სანტიაგოს ფილიალში ჩატარებული ლექციების კურსის შესახებ, როცა მან პირველად აღმოაჩინა, რამდენად განსხვავებული იყო მისი კითხვის უნარი ახალი თაობის ანალოგიური უნარისგან – არათუ ხარისხით, არამედ „*თითქმის ონტოლოგიური რადიკალურობით*“.

„ჩემი სტუდენტების უმრავლესობა, – წერს ჰ. უ. გუმბრეხტი, – განსაცვიფრებლად სწრაფი და მოქნილი იყო იმ რთული და საკვანძო პრობლემების განსაზღვრისას ესპანურ და ინგლისურ ტექსტებში, რომლებსაც ჩვენ განვიხილავდით, მაგრამ, ამავე დროს, ჩანდა, რომ ისინი ოდნავადაც არ აქცევდნენ ყურადღებას ამ ტექსტების რიტორიკულ, სტილისტურ და ზოგჯერ პოეტურ შრეებსაც კი და ვერ გრძნობდნენ მათ... მიუხედავად ამისა, გაცემული ვიყავი, რაოდენ ადვილი იყო მათი ყურადღების მიქცევა სინტაქსურ სტრუქტურებზე, დისკურსულ ტროპებსა ან მეტაფორებზე – და ყოველ ჯერზე, როცა ეს ხდებოდა, ვხედავდი მათ გულწრფელ სიამოვნებას, შესაბამისს ხმელთაშუა ზღვის აღმოჩენის სიამოვნებისა...“ (Гумбрехт, 2014).

სამწუხაროდ, ირკვევა, რომ ინფორმაციულ-ციფრულ კონტენტებზე ორიენტირებული საზოგადოება თვისებრივად გულგრილია ლიტერატურის მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების მიმართ, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ჯერ კიდევ შესწევს უნარი, საკუთარ სულში გააღვიძოს მისი შეგრძნებისა და ამით სიამოვნების მიღების შესაძლებლობა.

თანამედროვეობის „კულტურულ კრიზისზე“ მიუთითებს ფილოსოფიის დოქტორი, ისტორიკოსი, რომანტიზმის მკვლევარი და არაერთი უნივერსიტეტის პროფესორი ჯერომ მაკგანი: „*ჩვენ ვცხოვრობთ, პირველ რიგში, კულტურული კრიზისის პირობებში, როცა ლიტერატურის კლასიკური ნაწარმოებები გადაიქცა „ან ნანგრევებად, ან კინოდ“ და სჭირდება „პედაგოგიურად-ოსტატურად, ფილოლოგიურად – ხელახლა შექმნა...“* (Третьяков, 2014). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „კულტურული კრიზისის“ ერთ-ერთი ცხადი მაჩვენებელიცა და მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორიც კლასიკური ლიტერატურის „ნანგრევები“, ანუ ადაპტირებული თუ კომიქსის/გრაფიკული რომანის ჟანრში გარდასახული მხატვრული ტექსტებია.

ადაპტირებულმა კლასიკამ და კომიქსებმა, როგორც სწავლა-სწავლების საშუალებებმა, უცხოეთის საგანმანათლებლო სისტემებში დიდი ხანია მკვიდრად მოიკიდა ფეხი. სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ამგვარი ვითარება საკმაოდ ნეგატიურად აისახება მოსწავლეთა და სტუდენტთა ერუდიციის საერთო დონეზე, რომელიც, მათივე შეფასებით, შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც „Retard(ed) literacy“.

ზოგადად, მიზნობრიობის თვალსაზრისით, მხატვრული ლიტერატურის ადაპტირებული ვერსიები იქმნება უცხოენოვანი მკითხველისთვის ან მომხმარებელთა იმ წრისთვის, რომლის ასაკობრივი თუ ზოგადი განვითარების დონე, წიგნიერების ხარისხი არ შეესატყვისება ორიგინალი ტექსტების ლიტერატურულ თუ ენობრივ პარამეტრებს. ცალკე აღსანიშნავია, მართალია, მხატვრული ღირებულების, მაგრამ დანიშნულებით რელიგიური და დოგმატური ხასიათის ტექსტები, რომელთა სიმბოლურ-ალეგორიული შინაარსის გააზრება სათანადო კომპეტენციას მოითხოვს, რის გამოც ქრისტიანულ სამყაროში პირველი საუკუნეებიდანვე ჩამოყალიბდა მწერლობის განსაკუთრებული დარგები, ეგზეგეტიკისა და დოგმატიკის სახით, რომლებიც ბიბლიური წიგნებისა და ღვთისმეტყველების ძირითადი საკითხების თარგმანება/განმარტებას ისახავდა მიზნად. ასეთ ტექსტებს, სხვადასხვაგვარი ადაპტირებით, მრევლსა და აღმსარებლობითი თემებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას როგორც ადრე, ისე დღესაც სთავაზობს არაერთი საგამომცემლო ორგანიზაცია.

მიზნობრიობიდან გამომდინარე, მხატვრული ლიტერატურის ადაპტირების ხარისხი შეიძლება იყოს უფრო ძლიერი, საშუალო ან შედარებით სუსტი. პირველ შემთხვევაში ნარატივის შემცირებასთან ერთად თვისებრივად იცვლება მთელი მისი ენობრივი სტრუქტურა, მეორე შემთხვევაში – ნაწილობრივ, რთული ადგილების უფრო მარტივი თხრობით ან ლექსიკური ერთეულების ჩანაცვლებით, ხოლო სუსტი ადაპტირებისას ტექსტი თითქმის თავდაპირველი, მაგრამ არასრული სახითაა შენარჩუნებული – ამოღებულია ზოგიერთი ეპიზოდი ან მისი შინაარსი თუ პერიფრაზი მასში განსხვავებული შრიფტითაა ჩართული. მნიშვნელოვანია, რომ ადაპტაციის ხარისხი სრულად შეესატყვისებოდეს მიზანს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელ რიგ ქვეყნებში ადაპტირებული მხატვრული ლიტერატურა და მისი ერთგვარი ნაირსახეობა – კომიქსი – დიდი ხანია სწავლა-სწავლების მიზანშეწონილ საშუალებებად არის მიჩნეული, მიუხედავად სპეციალისტთა დაკვირვებისა, რომ ეს უარყოფითად აისახება მოსწავლეთა და სტუდენტთა საერთო ერუდიციის დონეზე, რამდენადაც მხოლოდ მათი ნაწილი კითხულობს ორიგინალ ტექსტებს, რომელთა შესახებ უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ აქვს. ამგვარმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ საგამომცემლო სფერო უხვშემოსავლიან ბიზნესად აქცია – უცხოელი კლასიკოსების ტექსტების მარტივი, ადაპტირებული თარგმანების გარდა, ისინი უკვეთენ, გამოსცემენ და წარმატებით ყიდნიან მხატვრული ლიტერატურის სხვადასხვაგვარად გადამუშავებულ ვარიანტებსა თუ საყოველთაოდ ცნობილ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე დაფუძნებულ კომიქსებს/გრაფიკულ რომანებს.

საქართველოში კლასიკური ლიტერატურის ადაპტირებული ვერსიებისა და კომიქსების ინდუსტრია ორ ათეულზე მეტ წელს არ ითვლის (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბჭოთა კონიუნქტურით განპირობებულ ადაპტირებულ გამოცემებს), თუმცა სულ უფრო და უფრო აქტიურად იპყრობს სამომხმარებლო ბაზარს. ამგვარი პროდუქციის მზარდ და წარმატებულ რეალიზებას, ერთი მხრივ, განაპირობებს მათი უმრავლესობის მაღალი პოლიგრაფიული ხარისხი, მეორე მხრივ კი – ცხოვრების აჩქარებული ტემპი და სტილი, რომელიც ინფორმაციულსა და ტექნოლოგიურ საზოგადოებაში თითქოს ადგილს არ უტოვებს ვრცელ ან დაკვირვებით საკითხავ მხატვრულ ნარატივებს. მაგრამ, მიუხედავად რამდენადმე პრაგმატული ხიბლისა, უაღრესად მნიშვნელოვანია, გონივრულად განისაზღვროს ადაპტირებული ტექსტებისა თუ კომიქსების მოხმარების არეალი და მიზნობრიობა. მათ შესახებ ინფორმაცია ხშირად გამოცემების გარეკანზე ან ანოტაციაშია წარმოდგენილი, თუმცა, ის, რაც მომგებიანია კომერციულად, შეიძლება შეუსაბამო აღმოჩნდეს გაცხადე-

ბულ მიზანთან მიმართებით. მხედველობაში გვაქვს ქართული კლასიკური ლიტერატურის ის ადაპტირებული გამოცემები, რომლებიც დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოებად არის მოწოდებული.

ეს ტენდენცია, უპირველეს ყოვლისა, ძირითადად ძველ ქართულ ლიტერატურას შეეხო, რომლის წაკითხვა-გააზრება თანამედროვე ქართულისგან რამდენადმე განსხვავებული ლექსიკისა და გრამატიკული ნორმების გამო რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული და მოსწავლეების მხრიდან მეტ ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა ეს ნაწარმოებები სასკოლო სახელმძღვანელოებში შემოკლებით და სათანადო განმარტებებით არის შეტანილი. მათი სწავლების ამგვარი ფორმა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ახალგაზრდების კითხვისა და აზროვნების უნარებს, ამდიდრებს მათ ლექსიკურ მარაგს, რომ აღარაფერი ვთქვათ, ცნობიერების ისეთ უნარზე, როგორც ესთეტიკური გრძნობადობა, რომელსაც, მხატვრულ ლიტერატურასთან მიმართებით, ავთენტური ტექსტების პოეტიკა განაპირობებს. გარდა ამისა, სწორედ ენობრივი ქსოვილის საშუალებით არის შესაძლებელი თხზულების ეპოქალური კონტექსტის სიღრმისეული წვდომა, წარმოსახვის გაძლიერება, გააქტიურება კულტურული მეხსიერებისა, რომელიც, აწმყოსთან რელევანტურობის გათვალისწინებით, ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებისა და თანამედროვე სამყაროში წარმატებული ოპერირების მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის. ამ სიკეთეების წილ რას სთავაზობს დღეს საგამომცემლო ინდუსტრია მოსწავლეებს? – თანამედროვე ქართულით „გაშინაარსებულ“, ჩვენი აზრით, სულგამოცლილ აგიოგრაფიულ ნარატივებს, რომლებიც სრულიად ამორებს მათ ორიგინალებისგან, მიუხედავად იმისა, ისინი წარმოდგენილი იქნება თუ არა რაიმე ფორმით – პარალელურ სვეტებად თუ ინტეგრირებული ტექსტების სახით.

ამგვარ გამოცემათაგან ყველაზე პოპულარული, იმთავითვე დღემდე კარგად რეკლამირებული და გაყიდვადი წიგნი „ქართული ჰაგიოგრაფია“, რომელიც სამომხმარებლო ბაზარზე „ქარჩხადის გამომცემლობამ“ პირველად 2016 წელს გამოიტანა. მასში შეტანილია სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ამ ჟანრის 3 ნაწარმოები. როგორც ანოტაციასა და გამომცემლობის გვერდზე გამოქვეყნებულ სარეკლამო ტექსტში ვკითხულობთ:

„წიგნში წარმოდგენილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „მუშანიკის წამების“, „აბოს წამების“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას. ასეთი გამოცემა მიზანია, ერთი მხრივ, **დაეხმაროს სასწავლო პროცესს და მოსწავლეებს გაუიოლოს ტექსტებთან წვდომა**, მეორე მხრივ კი საქართველოს ისტორიით, კულტურითა და ლიტერატურით დაინტერესებულ მრავალ ადამიანს, რომელთაც დღეს ძველი ქართული ნაკლებად ესმით, გაუხსნას გზა ამ უნიკალურ წყაროებთან“ (ქართული ჰაგიოგრაფია, 2016).

გამომცემლობის დირექტორი გ. ქარჩხაძე განმარტავს, რომ „წიგნი გამოიცა პროექტის – „ქართული კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებისათვის“ – ფარგლებში, რომლის ძირითადი სამიზნე სკოლის მოსწავლეები, აბიტურიენტები და ქართული ლიტერატურით დაინტერესებული... ადამიანები არიან...“; ამასთანავე, აღნიშნავს, რომ „ქარჩხაძის გამომცემლობას“ ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვს. ამ პროექტის ფარგლებში უკვე გამოვეცით სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები და „ვეფხისტყაოსანი“, ამ მიმართულებით მომავალშიც ვგეგმავთ მუშაობას“ (ბეროშვილი, 2016, გვ. 15).

მართლაც, 2017 წელს „ქარჩხაძის გამომცემლობამვე“ წარმოადგინა ძველი ქართული მწერლობის ნიმუშების თანამედროვე ქართულ ენაზე „თარგმნილი“ ვარიანტების შემცველი „დამხმარე სახელმძღვანელო“ – ქართული მწერლობა, სასკოლო გამოცემა, ტ. I. ძველი ქართული მწერლობა. ანოტაციაში ვკითხულობთ:

„ძველი ქართული მწერლობა“ წარმოადგენს **სასკოლო სამტომეულის**, „ქართული მწერლობის“, პირველ ტომს. წიგნი აერთიანებს ჰაგიოგრაფიული, ისტორიული და მხატვრული პროზის, ჰიმნოგრაფიის, საერო პოეზიის ნაწარმოებებსა და მონაკვეთებს. ძველი ქართული მწერლობა V საუკუნიდან XIX საუკუნემდე: იაკობ ხუცესიდან ბესიკამდე, სულხან-საბა ორბელიანი და გურამიშვილი, მოსე ხონელი, ჩახრუხაძე და სხვანი... **პროზაული ნაწარმოებები თანამედროვე ქართულითაა გადმოცემული.** წინამდებარე გამოცემა დაეხმარება ფართო საზოგადოებას ძველი ქართული ტექსტების უკეთ გაგებასა და გააზრებაში“ (ძველი ქართული მწერლობა, 2017).

კრებულის ერთ-ერთი შემდგენელი, დ. ამფიმიადი, აღნიშნავს:

„წიგნს საინტერესო კონცეფცია აქვს, **ყველა პროზაული ტექსტი, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, თანამედროვე ქართული ენითაა მოცემული.** ეს ამ წიგნის ყველაზე სასარგებლო და პრაქტიკული ნაწილია. გარდა იმისა, რომ შინაარსის დეტალები არ გამოვგრჩება, თუ გაკვეთილზე ძველ ქართულ ტექსტს დავუწყვილებთ, ერთგვარი ექსპერიმენტი გამოგვივა, ენის სხვადასხვა დროში მოგზაურობა. აღსანიშნავია, რომ პროფესიონალური და აკადემიური „გადაახალქართულების“ დროს, ახალი ქართული ტექსტის რედაქტორი, ლეილა ბერიაშვილი ახერხებს, რომ ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელი სინტაქსი, თხრობის სპეციფიკა შეუნარჩუნოს ტექსტს, რაც, შემდგომში, ტექსტის ძველი ქართული ვერსიის წაკითხვას გაგვიადვილებს. ეს ერთგვარი წანამძღვარი, შემზადებაა იმისთვის, რომ ტექსტის ორიგინალი უფრო ყურადღებით წავიკითხოთ. რასაკვირველია, ძველი ქართული ტექსტების ენა ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვცადოთ არ გავწყვიტოთ ის ენობრივი მთლიანობა, რომელიც 21-ე საუკუნის მკითხველს უძველეს ტექსტებთან აკავშირებს, მაგრამ ამ მიზნისკენ სვლა აუცილებლად უნდა გავიმარტივოთ აკადემიურად, უდიდესი პასუხისმგებლობით შესრულებული ადაპტირებული ტექსტებით, რომელთაც, მაგალითად, ამ ანთოლოგიაში იპოვიოთ“ (ამფიმიადი, 2022).

სხვა ფორმა და კონცეფცია აქვს „დიოგენეს“ მიერ თ. ვასაძის ავტორობით გამოცემულ ადაპტირებულ კრებულს „ქართული აგიოგრაფიური პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის“. ანოტაციიდანვე ვიგებთ, რომ „წიგნში ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებების ტექსტები წარმოდგენილია ახლებური ფორმით – მათი ენობრივი განმარტებები სქოლიოში ან გამოცალკევებულ ლექსიკონში კი არ არის მოცემული, არამედ შერწყმულია, ინტეგრირებულია თვით ტექსტებთან. ეს ახალგაზრდა მკითხველებს, საერთოდ, ლიტერატურის შემსწავლელებს უთუოდ გაუადვილებს ძველი ქართული პროზის ნიმუშების აღქმას და გაგებას“ (ქართული აგიოგრაფიული პროზა, 2013). ქართული აგიოგრაფიის სკოლაში შესასწავლი ნიმუშების შემცველი ყველა ამ ტიპის „დამხმარე სახელმძღვანელო“, ერთი შეხედვით, კეთილშობილურ მიზანს ისახავს და ჩვენ გვჯერა მათი ავტორ-შემდგენლების გულწრფელობის, იმისაც, რომ უმრავლეს შემთხვევაში მათი „თარგმანი“ „ზუსტია“ და „დიდი პასუხისმგებლობით შესრულებული“, მაგრამ ასეთ პირობებში რამდენად არის შესაძლებელი არ გაწყდეს „ის ენობრივი მთლიანობა, რომელიც 21-ე საუკუნის მკითხველს უძველეს ტექსტებთან აკავშირებს“ (ამფიმიადი, 2022)? ახალგაზრდობა ეზიაროს ძველი ქართული ენის კეთილშობიანებას, გაითავისოს ამ ენის სახეობრიობა, რომელსაც ალუზიისა თუ სხვა მხატვრულ-სტილური საშუალებების სახით ხშირად იყენებს ახალი და უახლესი ქართული მწერლობაც? შეივსოს ლექსიკური მარაგი მივიწყებული, მაგრამ ცოცხალი ქართული სიტყვებით და ა. შ.? რამდენად მოსალოდნელია, რომ მოზარდი პარალელურად წავიკითხავს ძველ ქართულ ტექსტსაც? ან, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პროგრამასთან მიმართებით, გაკვეთილების საერთო ხანგრძლივობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა ტექსტის შესწავლისას „გადაახალქართუ-

ლებული“ ვერსიის „ძველ ქართულ ტექსტთან დაწყვილებით“ „ენის სხვადასხვა დროში მოგზაურობის“ „ექსპერიმენტი“ ჩატარდეს? შედეგად ვიღებთ იმას, რომ მოსწავლეების უმრავლესობას არათუ ძველი ქართული, XIX-XX საუკუნის კლასიკოსების ენა აღარ ესმის, თავს არ იწუხებს სქოლიოებსა და განმარტებით ლექსიკონებში ჩახედვით, მაშინ როცა ისინი, ჩვეულებრივ, ამ გზას მიმართავენ უცხოენოვანი ტექსტების კითხვისას და ამის გამო არავენ „წუწუნებს“. სად მიგვიყვანს ამგვარი დისტანცირება მშობლიური ლიტერატურის ავთენტურ ტექსტებსა და სამწერლობო ენასთან, რომელიც ბუნებრივი განვითარების შედეგად საუკუნეების განმავლობაში რამდენადმე შეიცვალა, მაგრამ ძველი ქართული არ არის სხვა, უცხო ან მკვდარი ენა; ის ისეთივე ცოცხალია, როგორც ჩვენი დამწერლობა – სამი სახეობის კულტურა, რომელსაც იუნესკომ 2016 წელს კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა. ეს ის მნიშვნელოვანი კითხვებია, რომლებსაც განათლების სისტემამ ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ უნდა უპასუხოს. ამავე ინტერესებს უნდა იზიარებდეს ადგილობრივი საგამომცემლო ინდუსტრიაც.

აგიოგრაფიასთან ერთად, ე, წ, „გაშინაარსება“ ქართული მწერლობის მშვენიერებას – „ვეფხისტყაოსანსაც“ – შეეხო, თუმცა ეს კიდევ უფრო ძველი ამბავია: XX საუკუნის 60-იან წლებში, როცა ჩვენი ქვეყანა რუსთაველის იუბილეს მასშტაბური აღნიშვნისთვის ემზადებოდა, პოემის არაერთი ახალი გამოცემის გვერდით გამოჩნდა მამია ებრაღიძის მიერ „პროზაულად გარდათქმული“ „ვეფხისტყაოსანიც“, რომელმაც იმთავითვე სპეციალისტთა და ქართული კულტურის მოამაგეთა კრიტიკა დაიმსახურა. გამომცემლობა „განათლების“ მიერ დართულ მცირე წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ასეთი ფორმით წარმოდგენილი ტექსტი „მიზნად ისახავს დაეხმაროს „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველს, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას მისი შინაარსის უკეთ შეთვისებაში“ (ებრაღიძე, 1966, გვ. 2). საქმე ის გახლავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი ღირსება არა მისი მარტივად გადმოცემული შინაარსია, რაოდენ საინტერესოც არ უნდა იყოს იგი, არამედ ის მსოფლმხედველობრივი კონცეფცია, რომელიც ასე ოსტატურად არის განფენილი პოეტურ ქსოვილში; ამგვარი გამოცემები კი ახალგაზრდებს მისი განცდისა და ესთეტიკური აღქმის შესაძლებლობას უსპობს, რასაც, სამწუხაროდ, ასე დაუფიქრებლად უწყობს ხელს თანამედროვე ქართული საგამომცემლო ინდუსტრია – გარდა იმისა, რომ წიგნის ბაზარზე უხვად არის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ამ თუ სხვა ტიპის ადაპტირებული ტექსტები (თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე აღარ განვიხილავთ), სულ ახლახან დასახელებული წიგნი ხელახლა გამოიცა და, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, სპეციალისტთა დადებითი გამოხმაურებანი არ მოჰყოლია, საკმაოდ წარმატებით იყიდება. წიგნების გავრცელებისა და რეალიზების ინტერნეტგვერდებზე ის ხშირად არის წარმოდგენილი „ქართულ ჰაგიოგრაფიასა“ და მართლწერის სხვადასხვა სახელმძღვანელოსთან ერთად ფასდაკლებულ ნაკრებში და, ცხადია, სამიზნე მომხმარებელთა ჯგუფიც ძირითადად მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისგან შედგება, სამწუხაროდ, ზოგჯერ მასწავლებლებისა და რეპეტიტორებისგანაც.

ვფიქრობთ, მშობლიური ლიტერატურის სწავლებისას ძლიერ ადაპტირებული მხატვრული ტექსტების გამოყენება როგორც ძირითად, ისე დამხმარე რესურსად დაუშვებელია. შესაძლოა ვიფიქროთ სახელმძღვანელოებში ავთენტური ტექსტების მოცულობის შემცირებაზე ან იმგვარ ადაპტირებულ ვერსიებზე, რომლებშიც ზოგიერთი ეპიზოდი ჩართულია გაშინაარსებული სახით, მაგრამ არა ისეთი დამხმარე სახელმძღვანელოების პოპულარიზაციაზე, რომლებიც საერთოდ აშორებს მოსწავლეს ორიგინალურ ტექსტს, სამყაროს აღქმის ისტორიულ ეროვნულ-ენობრივ მოდელებს. ჩვენ არ უარვყოფთ, ზოგადად, ადაპტაციის საჭიროებას, მით უმეტეს, დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლებისას, მაგრამ ზემოთ დასახელებულ თუ მინიშნებულ გამოცემათა ყოველწლიური ტირაჟი, ანოტაციათა შინაარსიც და ადაპტირებული ტექსტების მოცულობაც ცხადად მიუთითებს, რომ ისინი არა ამგვარი სწავლა-სწავლებისთვის, არამედ საყოველთაო მოხმარებისთვისაა გამიზნული.

საგამომცემლო ინდუსტრიის ამ თანამედროვე მიმართულების ასეთი განვითარება როგორც ჩვენთან, ისე დასავლეთშიც, ერთი მხრივ, კითხვის კრიზისით არის განპირობებული, მეორე მხრივ კი, საგულსხმოა, რომ სწორედ ეს ტენდენცია კიდევ უფრო მეტად ამწვავებს აღნიშნულ კრიზისს.

როგორ მოვიქცეთ? გავყვეთ ამ გზას? იქნებ მართლა „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“? □ დასაფიქრებელია. ერთი მოსაზრებით კი:

„შექმნილ სიტუაციაში დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბროთ კითხვის დონის დაქვეითებასა და კულტურის კრიზისზე, მაგრამ შეიძლება ვცადოთ შეგუებაც: მხატვრული ტექსტების ადაპტირებით, ევრანიზებული კლასიკის ფრაგმენტების გამოყენებით დავეხმაროთ სტუდენტებს კითხვის კომპეტენციის განვითარებაში ისე, რომ ყურადღება მივაქცევინოთ მხატვრული ფორმისთვის. ბოლოს და ბოლოს, ზოგიერთმა მათგანმა იქნებ გაიგოს, რომ „კითხვა, ეს არის კერძო, პორტატული, საზოგადოდ ხელმისაწვდომი, ყოველდღიური ბედნიერება – ყველასთვის და საჩუქრად“ (Рачковская А.В. , 2015, с. 129).

დასასრულ, რამდენიმე წინადადებით ყურადღება უნდა გავამახვილოთ ქართული წიგნის ინდუსტრიის ისეთ სეგმენტზე, რომელიც მოიცავს ადაპტირებული კლასიკური ტექსტების პატარებისათვის განკუთვნილ გამოცემებს, კომიქსებსა და გრაფიკულ რომანებს. მათ არ აქვთ დამხმარე სახელმძღვანელოების პრეტენზია, მაგრამ დაწყებით სასკოლო საფეხურზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოზარდების წიგნთან ურთიერთობისა და კითხვის უნარის ჩამოყალიბებაში, ინტერესისა და თვალსაწიერის გაფართოებაში. ასეთებია, მაგალითად: ვაჟა-ფშაველას პოემების („სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“) გრაფიკული ვერსიები, რომლებიც 2021-2022 წლებში გამოსცა „არტანუჯმა“; ამავე გამომცემლობის პროდუქტი □ „ვეფხისტყაოსანი“ / გრაფიკული რომანი 5 წიგნად; რუსთაველის პოემის მეორე გრაფიკული ვარიანტი („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“) და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის გამოცემების გამოყენება მიზანშეწონილია დაწყებით კლასებში უშუალოდ საგაკვეთილო პროცესშიც, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში სკოლებს, სამწუხაროდ, არ აქვთ ამგვარი რესურსების ქონის ფუფუნება.

ამ მცირე მიმოხილვით შევეცადეთ წარმოგვედგინა ის ძირითადი ტენდენციები და პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია კლასიკური მხატვრული ლიტერატურის თანამედროვე ადაპტირებულ ინტერპეტაციებთან; სპეციალისტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, გვეჩვენებინა, რას იწვევს მათი აქტიური გამოყენება სასწავლო პროცესში და ამასთან მიმართებით გამოგვეთქვა ჩვენი თვალსაზრისიც. განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ვფიქრობთ, უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის განკუთვნილი დამხმარე რესურსებისათვის საძიებელია ადაპტირების სხვა ფორმები, ვიდრე მათ დღეს სთავაზობს ქართული საგამომცემლო ინდუსტრია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ამფიშიადი, დ. (2022). „სასწრაფო დახმარება“ ძველი ქართული ლიტერატურის გაკვეთილებზე. „mastsavlebeli.ge“, 3/11. <http://mastsavlebeli.ge/?p=34714>
- ბეროშვილი, შ. (2016). ახალი წიგნი თაროზე – „ქართული ჰაგიოგრაფია“. „თბილისის უნივერსიტეტი“, 8, 15.
- ებრალიძე, მ. (1966). რას მოგვითხრობს „ვეფხისტყაოსანი“. თბილისი: „განათლება“.
- ქართული აგიოგრაფიული პროზა (2013), თბილისი: „დიოგენე“.
- ქართული ჰაგიოგრაფია (2016), თბილისი: „ქარჩხადის გამომცემლობა“.
- ძველი ქართული მწერლობა (2017), ქართული მწერლობა, სასკოლო გამოცემა, ტ. I. ძველი ქართული მწერლობა, თბილისი: „ქარჩხადის გამომცემლობა“.
- Акунин, Б. (2006). Фандорину осталось жить четыре романа: Интервью. „Огонёк“, 21, 16.
- Гумбрехт, Ханс-Ульрих (2014). Будущее чтения? Воспоминания и размышления о генеалогическом подходе (пер. с англ. Николая Поселягина). НЛО, 4. <https://magazines.gorky.media/nlo/2014/4/budushhee-chteniya-br-vospominaniya-i-razmyshleniya-o-genealogicheskom-podhode.html>

- Рачковская, А.В. (2015). Художественный текст на занятиях по РКИ: критерии отбора и характер адаптации, Этнокультурный и социолингвистический аспекты теории и практики преподавания языков, 121-131, Минск: БНТУ.
- Третьяков, В. (2014). От текста на странице – к тексту на экране. НЛО, 4. https://www.nlobooks.ru/magazines/novoe_literaturnoe_obozrenie/128_nlo_4_2014/article/11038/

References:

- Akunin, B. (2006). Fandorinu ostalos' zhit' chetyre romana: Interv'yuu. [Fandorin Has Four Novels Left to Live: Interview]. "Ogonyok", 21, 16.
- Ampimiadi, D. (2022). „Sasts'rapo daxmareba“ dzveli k'art'uli lit'erat'uris gak'vet'ilebze. ["First aid" on the Lessons of Old Georgian Literature]. „Mastsavlebeli.ge“, 3/11. <http://mastsavlebeli.ge/?p=34714>
- Beroshvili, Sh. (2016). Akhali ts'igni taroze – „kart'uli hagiografia“. [New Book on the Shelf - "Georgian Hagiography"]. "Tbilisi University", 8, 15.
- Dzveli kartuli mts'erloba. (2017). [Old Georgian Literature. Georgian Literature, school edition, vol. I. Old Georgian Literature], Tbilisi: "Karchkhadze Publishing House".
- Ebralidze, M. (1966). Ras mogvi tkhrobs „Vepkhist'q'aosani“. [What Does “The Man in the Panther's Skin” Tell Us], Tbilisi: “Ganatileba”.
- Gumbrecht, Hans-Ulrich (2014). Budushchee chteniya? Vospominaniya i razmyshleniya o genealogicheskom podkhode. [The Future of Reading? Memories and Reflections on the Genealogical Approach] (translated from English by Nikolai Poselyagin). NLO, 4. <https://magazines.gorky.media/nlo/2014/4/budushhee-chteniya-br-vospominaniya-i-razmyshleniya-o-genealogicheskom-podhode.html>
- Kartuli agiografiuli p'roza. (2013). [Georgian Hagiographic Prose]. Tbilisi: "Diogene".
- Kartuli hagiografia . (2016). [Georgian Hagiography]. Tbilisi: "Karchkhadze Publishing House".
- Rachkovskaya, A.V. (2015). Hudozhestvennyj tekst na zanyatiyakh po RKI: kriterii otbora i kharakter adaptacii, Ehtnokul'turnyj i sociolingvisticheskij aspekty teorii i praktiki prepodavaniya yazykov. [Literary Text in RFL classes: Selection Criteria and Nature of Adaptation, Ethnocultural and Sociolinguistic Aspects of the Theory and Practice of Teaching Languages], 121 – 131, Minsk: BNTU.
- Tretyakov, V. (2014). Ot teksta na stranice — k tekstu na ehkrane. [From the text on the page to the text on the screen]. NLO, 4. https://www.nlobooks.ru/magazines/novoe_literaturnoe_obozrenie/128_nlo_4_2014/article/11038/